

# ჩემი გაზეთი

ბაღდათის მუნიციპალიტეტი, ა. (ა.) ი. პ. ინფორმაციის, ეთნოკულტურისა და ტურიზმის განვითარების ფონდი

## არჩილ გოგსაძე: ლელო ერთად გავიბანოთ!



**- ბატონო არჩილ, მოდი, ჩვენი უჩვეულო ინტერვიუ, იუმორ-ნაზავი კითხვით დაიწყო. რა დასამალია და, როცა ბაღდათში ხმა გავარდება, ამა თუ იმ თანამდებობაზე ესა თუ ის პიროვნება ინიშნებაო, უმალ მისი წარმომავლობისა და ბაღდათური ფესვების კვლევა-ძიება შესაშური მონდომებით იწყება, არც თქვენ ხართ გამონაკლისი...**

- მინდა ყველა დავამშვიდო, წარმოშობით, თუ შეიძლება ითქვას, 100 პროცენტით ბაღდათელი ვარ, როგორც მამის, ასევე დედის მხრიდან. დედა ლომისიანიძეა და დედული მამის დიმი. ჩვენ კი ბაღდათში, სავადადმოფოსთან ვცხოვრობთ, თუმცა ჩვენი გვარის, გოგსაძეების ძირი ზედა ბაღდათშია. მოკლედ, ჩემი წინაპრები, სადამდეც ჩვენი ცნობიერება და მეხსიერება წვდება, ყველა ბაღდათიდან არის და ჩემში ერთი გრამი არაბაღდათელის სისხლი არ ურევია. ეგაა, რომ მე და ჩემი ძმა თბილისში დავიბადეთ, გავიზარდეთ და აქამდე იქ ვსაქმიანობდი. მამამ (ცნობილი მეცნიერი კარლო გოგსაძე) სკოლის დამთავრების შემდეგ თბილისში განაგრძო სწავლა, დედაქალაქში დაფუძნდა და, ბუნებრივია, ოჯახის წევრებსაც იქ მოგვინია დამკვიდრება. დავამთავრე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტი, ვთამაშობდი რაგბის და ვარ სარაგბო კლუბ "თბილისის" დამფუძნებელი. ვმუშაობდი კონტროლის პალატაში (ახლანდელი აუდიტის სამსახური), კულტურული მემკვიდრეობის

დაცვის ფონდში, ჯერ ფინანსური დირექტორი ვიყავი, შემდეგ დირექტორის მოადგილე და აღმასრულებელი დირექტორი. ვხელმძღვანელობდი მსოფლიო ბანკის პროექტს, რომელიც მიზნად ისახავდა ისტორიული ძეგლების რეაბილიტაციას. ფონდიდან წამოსვლის მერე საკუთარი ბიზნესი მქონდა. მყავს მუხლანა და ორი შვილი.

**- ყოველივე ამის შემდეგ, თქვენ ბაღდათში დაბრუნდით და მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის სპასუხისმგებლო საქმე იტვირთეთ.**

- ეს შემოთავაზება ჩემთვის მოულოდნელი იყო, კი დავთანხმდი, თუმცა გადანყვეტილების მიღება მარტივი არ იყო. ალბათ გასაგებია, რომ, როცა ადამიანი სადალაც დაფუძნებული ხარ ოჯახით, მთელი ცხოვრება იქ საქმიანობ, ძნელია უცებ გარემოს შეცვლა. მოკლედ, მაინც ვამჯობინე ისტორიულ ფესვებს დავბრუნებოდი და ერთი რამ, რამაც ეს გადანყვეტილება მიმალეზინა ისაა, რომ აქაურობას აუცილებლად ჭირდება სიახლეები. ეს სიახლე, ცხადია, მე არ ვარ, მეც ჩვეულებრივი ბაღდათელი ვარ, თუმცა მინდა და, ვფიქრობ, შევძლებ კიდევ, რომ ბაღდათში ბევრი რამ სასიკეთოდ შეიცვალოს. ბევრი მოძრაობა მიწვედა და მიწვევს მთელ საქართველოში და თამამად შემიძლია ვთქვა - ძალიან ბევრი რაიონი ჩვენზე გაცილებით წინ არის, ბევრ რამეში ჩამოვრჩებით სხვებს.

**- ძირითადად რაში ხედავთ**

**რესპოდენტი ერთი — არჩილ გოგსაძე, ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის ახალდანიშნული შემსრულებელი. კორესპოდენტები ... იცოცხლეთ — ბაღდათის საინფორმაციო და ტურიზმის განვითარების ფონდის თანამშრომლები.**

**შეხვედრის ადგილი — ბაღდათის ცენტრალური ბიბლიოთეკა; "ჩემი გაზეთი", სარედაქციო ოთახი. მუნიციპალიტეტის გამგებლის სამსახურების თანამშრომლების გაცნობისა და საქმიანი შეხვედრების მერე, არჩილ გოგსაძე, დაპირებისამებრ, ბიბლიოთეკაში, ინტერვიუსთვის გვესტუმრა. "ნიგნოვაციაში" მოგზაურობის შემდეგ, ეს უჩვეულო ინტერვიუც შედგა. ლელო ერთად გავიბანოთ — გვთხოვა დამშვიდობებისას ბაღდათის ახალმა თავადაცმა, ჩვენ კი აკა მორჩილაძის (გოი ახვლედიანი) სარბიელური სვეტებისა და საკრივო ფურცლების კრებული გავატანეთ საჩუქრად სარაგბო მოგონებებთან შესარკინებლად ყოფილ მორაგებს.**

**პრობლემებს, რით ჩამოვრჩებით სხვა მუნიციპალიტეტებს?**

- ვერ ვიყენებთ ბაღდათის სტრატეგიულ მდებარეობას, ქვეყნის სიდიდით მეორე ქალაქთან და აეროპორტთან სიახლოვეს. თავს ვერ მოვიწონებთ სარკინიგზო თუ ცენტრალური საგზაო მაგისტრალებით, სამაგიეროდ, ბაღდათი მდიდარია ბუნებრივი რესურსებით და ტურიზმის პოტენციალით. ლეგენდიდან დაწყებული ყველა თემა უნდა ავამუშავოთ, რათა აქაურობის მიმართ ინტერესი გავზარდოთ. მაგალითად, ვლადიმერ მაიაკოვსკის სახელით ბაღდათი მთელ აღმოსავლეთ ევროპაში და პოსტსაბჭოურ სივრცეში ცნობადი რაიონი იყო. ეს ცნობადობა ნელ-ნელა დაიკარგა და კარგი იქნება, თუ მოვახერხებთ დაბრუნებას. აუცილებლად უნდა ვეცადოთ, შევქმნათ მიმზიდველი გარემო ყველა მიმართულებით — სოფლის მეურნეობა, ადგილობრივი მრეწველობა და განსაკუთრებით ტურიზმი. ჩემი აზრით, ხალხმა მეტი ინიციატივა უნდა გამოიჩინოს, არ არის ყველაფერი გამგებელთან შეთანხმება საჭირო და მხოლოდ სახელმწიფოს იმედად საქმიანობა. ცოტა კი არა, კაი გვარიანად გაზარდაცხადებულები ვართ, უმეტესობა ელოდება იმას, რომ აი, სახელმწიფო მოვა, დამხმარება, შეშას მომიტანს, სახლს გადამიხურავს... მიუხედავად დიდი სურვილისა, სახელმწიფო ვერ განვდებთ ყველაფერს. ამიტომაც ვამბობ, ხალხმა და ჩვენ შემთხვევაში თითოეულმა ბაღდათელმა მეტი ინიციატივა უნდა აიღოს ხელში, ერთ ადგილს არ უნდა ვტკეპნიდეთ.

**- თქვენ უკვე გაუცანით გამგებლის სამსახურებს და იმ თანამშრომლებს, რომელთანაც ერთად მოგინვეთ მუშაობა. ცხადია, ამ თემებზე და თქვენს ხედვებზეც უფრო დეტალური საუბარი გექნებოდათ მათთან.**

- რა თქმა უნდა, საქმიანი, სამუშაო შეხვედრები გავმარ-

თეთ. აქვე მინდა ვთქვა - პირველივე დღეს ვუთხარი ყველას, რომ არავის გაშვებას, არავის გაგდებას არ ვაპირებ, ოღონდ ერთ რამეზე შევთანხმდეთ, ერთმანეთს ავუწყოთ ფეხი. გადავდგამ დიდ ნაბიჯს, მომყვით ამ დიდ ნაბიჯში, ერთად ვიაროთ, ერთად გავაკეთოთ. თუ ვინმეს არ სურს, ვილაცას ეზარება ან არ სიამოვნებს, მითხარით, არა, ბატონო, ვერ აგყვებით, არ გეთანხმებით და მაშინ ვისი პოზიცია იქნება სწორი, ის გააგრძელებს მუშაობას. მე ვცდილობ, ჩემი გეგმა, ჩემი ხედვები განვხორციელო ბაღდათში და იმედი, ბაღდათელები მხარს დამიჭერენ. სარაგბო ენაზე რომ ვთქვათ, ლელო ერთად უნდა გავიბანოთ.

არ დავმალავ და პირდაპირ გეტყვით, რომ ამჟამად იგრძნო-

ბა პროფესიონალთა დეფიციტი, მიუხედავად ამისა, ზემოთაც აღვნიშნე, რომ არავის სამსახურიდან გაშვებას არ ვაპირებ და არც ვინმეს მონვევას. ახალგაზრდა, ნიჭიერი ბაღდათელი ახალგაზრდების წარმოჩენას და დასაქმებას კი ხელს შევუწყობ.

- ბატონო არჩილ, ბიბლიოთეკაში ვართ და აუცილებლად უნდა გკითხოთ, რა აზრის ბრძანდებით, სოფლებში გაუქმებული ბიბლიოთეკების აღდგენის თაობაზე. საქმე ისაა, რომ საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის პროექტით, სოფლის ბიბლიოთეკებს შეეძლება საინფორმაციო ცენტრის ფუნქციის შეთავსება.

- ორი აზრის არ არსებობს, რომ მართლაც საშური საქმეა. რამდენადაც ვიცი, თქვენმა სამსახურმა სოფლის გაუქმებულ ბიბლიოთეკებში გვარიანი სამუშაო შესარულა და ამ ეტაპზე ექვსი ბიბლიოთეკა სრულ მზადყოფნაშია. ცხადია, ამ წამოწყებას მხარს დავუჭერ და გაისად ბაღდათში ექვს სოფელში ბიბლიოთეკა ამუშავდება.

**- და ბოლოს, ნიგნი, რომლის კითხვაც არ გებზრდება...**

- კითხვის მოყვარული ვარ და ბევრი ნიგნიც წამიკითხავს, მათგან მაინც კონსტანტინე გამსახურდიას "დავით აღმაშენებელს" გამოვარჩევ.

სოსო კოტორევილი

## ქველმოქმედება

### ყველაზე კარგი ქმედება

თუ გინდა საკუთარი თავი არ დაკარგო, მუ მონყდები მუხს ზაგვამბას.

**ზაგვამბა** ლამაზ ფერებში დახატული ზღაპარი, ოცნებათა თვალწინდელი სიფრცეხი...

**მწარე რეალობა** მუხი ფერებით დახატული ყოველდღიურობა, ბანალური პროზა ტკივილის, შიშის, უწყობის, ოცნებათა გახურების...

**შენ შეგიძლია** თუნდაც ერთი დღით, სახალწლოდ, მოწყობილთ ზაგვამბა მწარე რეალობას და მათ მოზლიდინე. ნაღვლიან თვალში მომავლის იმედის სხივი ავაკავთო. ჩვენ ხომ ყველანი ჩვენი ზაგვამბიდან მოვიდვართ.

## შემოგვიერთდით

**21-28 დეკემბრის ჩათვლით.** საკვლელომუხედო აქცია ბაღდათის მუნიციპალიტეტის მრავალშვილიანი, სოციალურად დაუცველ და სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახების დასახმარებლად.

**28 დეკემბერი.** აქციის შემაჯავებელი საღამო და საკვლელომუხედო აუქციონი.

შემოწირულობების მოტანა ყოველდღიურად თქვენ შეგიძლიათ

ბაღდათის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში. მისამართი: რუსთაველის ქ. N68.

თქვენი ქველმოქმედებით შეგროვებული საჩუქრები მრავალშვილიან ოჯახებს დასურთვდებათ 29-30 დეკემბერს.

ა. (ა.) ს. პ. ბაღდათის მუნიციპალიტეტის ინფორმაციული უზრუნველყოფის, ეთნოკულტურისა და ტურიზმის განვითარების ფონდი.



# ბაღდათობა

ბასული საუკუნის 70-იან წლებში დაწესდა "თბილისობის" დღესასწაული. ალბათ, მისი გამოცხადებით და იმის გამო, რომ რაიონში არ არსებობდა რაიმე დღესასწაული, მაშინდელმა რაიონის ხელმძღვანელებმა გადაწყვიტა დაწესებულიყო "ბაღდათობა" და ის გამართულიყო შემოდგომაზე რთველის დამთავრების შემდეგ. კონკრეტული თარიღი დაწესებული არ ყოფილა.

1980 წელს პირველად გაიმართა "ბაღდათობა". დღესასწაულის ჩატარების ადგილად შეირჩა მაშინდელი ქ. ბაღდათის კოლმეურნეობის, ახლანდელი ეპარქიის შენობის მიმდებარე ტერიტორია. დღესასწაულის პროგრამით გათვალისწინებულ ღონისძიებაში მონაწილეობა უნდა მიეღო მთელ რაიონს. ძირითადი სუბიექტები მაინც კოლმეურნეობები (15), საბჭოთა მეურნეობები (2), სამეურნეობათაშორისო ორგანიზაციები (6) იყო. ყველა მონაწილეს თავისი ტერიტორია ჰქონდა გამოყოფილი "დღესასწაულის ქალაქში". სოფლები: ფერსათი, ნითელხევი, დიმი, I და II ოზრა, ზეგანი ორ-ორი კოლმეურნეობით იყო წარმოდგენილი. თითოეულ სუბიექტს მისთვის გამოყოფილ ტერიტორიაზე გამოფენილი ჰქონდა მის მიერ მოწეული სოფლის მეურნეობის პროდუქ-

**"ბაღდათობა" ერთადერთი სახალხო დღესასწაულია ჩვენს მუნიციპალიტეტში. 70-წლიანი კომუნისტური რეჟიმის დროს, რაიონის ცხოვრებაში რაიმე დღესასწაული, ამ სიტყვის მნიშვნელობით, არ ჩატარებულა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ "პოეზიის დღესასწაულს", რომელიც 1975 წლის ივლისიდან ტარდება ვლადიმერ მაიაკოვსკის დაბადების დღის აღსანიშნავად.**

ტები: ყურძენი, სხვადასხვა სახის ხილი, იხდებოდა არაყი, ინურებოდა ყურძენი, ავლებდნენ ჩურჩხელებს, შიშინებდა მწვადები, მჭადებისა და ხაჭაპურების გამოცხობას ვერ აუდიოდნენ ქალები. განყოფილი იყო ქართული მაგიდა თავისი განთქმული კერძებით, იმიტირებული იყო სამჭედური. იყო ამ წელს მიღწეული წარმატებების ამსახველი დიაგრამები.

დღესასწაულს ალამაზებდა კულტურული სანახაობები. ცალკეულ სუბიექტებს ჰყავდათ: მომღერლები, მოცეკვავეები, სპორტული ნომრების შემსრულებლები.

დღესასწაულში მონაწილეობდა მთელი რაიონი, იყო ხალხმრავლობა, ყველგან საზეიმო განწყობა სუფევდა. დღესასწაულის თითოეულ მონაწილეს შეეძლო სტუმრებოდა მისთვის სასურველ კოლმეურნეობას,

საბჭოთა მეურნეობასა და სამეურნეობათაშორისო ორგანიზაციას, ორგანიზაციები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ სტუმრების მიღებასა და გამასპინძლებაში. აქტიურ ფაზაში შედიოდა დღესასწაული მეორე ნახევარში, როცა რაიონის ხელმძღვანელობა აქტივთან და "ბაღდათობაზე" მოწვეულ სტუმრებთან ერთად იწყებდნენ ეგრეთ წოდებულ "შემოვლას". ამ დროს სტუმარმასპინძლობა კულმინაციურ წერტილს აღწევდა. შემოვლისას რაიონის თავკაცები გამოთქვამდნენ შენიშვნებს, მაგრამ ეს არ იყო საყვედურები, ნაკლოვანებების მითითების მსგავსი გამოთქმები. ითქმოდა სამადლობელი სიტყვები. და ბოლოს, რაიონის მხატვრული კოლექტივების მონაწილეობით იმართებოდა დიდი კონცერტი.

"ბაღდათობის" დღესასწაულზე ხდებოდა საპატიო მოქალა-

ქის ნოდების მინიჭება როგორც რაიონში მცხოვრებ, ასევე რაიონიდან წასულ გამოჩენილ მამულიშვილებზე. საპატიო ნოდების მინიჭება თვითმმართველობის ორგანოს დადგენილებით ფორმდებოდა. პირველად საპატიო ბაღდათელის ნოდება მიენიჭათ 1984 წელს რეჟისორ რეზო ჩხეიძეს, ქორუგ ზაალ კახიანსა და მაშინდელი საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატს, საკრალულ ლაურა მასხარაშვილს. აქვე მიიღა გამოთქვა ჩემი მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ბოლო წლებში ბაღდათის საპატიო მოქალაქედ არჩევა საზოგადოება "ბაღდათელის" მეშვეობით ხდება, რაც არასწორად მიმაჩნია. მითუმეტეს, რომ თვითმმართველობის კოდექსის 54-ე მუხლის ეზ ქვეპუნქტით გათვალისწინებულია, რომ გამგებელი "ანიჭებს მუნიციპალიტეტის საპატიო ნოდებებსა და ჯილდოებს".



"ბაღდათობის" დღესასწაული რეგულარულად იმართებოდა 1980-1987 წლებში, შემდეგ ეს ტრადიცია მივიწყებდას მიეცა. ამას ხელი შეუწყო კომუნისტური რეჟიმის გაუქმებამ, ჩვენს ქვეყანაში გასული საუკუნის 90-იან წლებში განვითარებულმა მოვლენებმა, სამოქალაქო ომმა. 2011 წელს აღდგა ზემოთხსენებული ტრადიცია და მას შემდეგ ის ყოველწლიურად იმართება.

თუ დავაკვირდებით "ბაღდათობის" ჩატარების ტრადიციას, ის არ ირღვევა ახლა, როცა კოლმეურნეობები აღარ არის, ბაღდათობას მასპინძლობენ (სუბიექტებად) ქალაქისა და სოფლის წარმომადგენლობითი ორგანოები. მათ რიცხვს დამატა ცალკეული კერძო საწარმო, ბიზნესმენი, კომერციული სტრუქტურა და სააქციო საზოგადოება.

შეიცვალა ხელისუფლების მიდგომები რეგიონებში ინფრასტრუქტურის განვითარებაზე. გასული საუკუნის ბოლოსთვის წარმოუდგენელი იყო სახელმწიფო ბიუჯეტიდან ინფრასტრუქტურის განვითარებაზე იმ რაოდენობის თანხების გამოყოფა, რასაც დღეს სახელმწიფო ბიუჯეტი აფინანსებს. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, მარტო წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ორ მილიონამდე თანხა არის გამოყოფილი სოფლის პროგრამების დასაფინანსებლად, 804 ათასი ლარი გამოიყო სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ. თუკი აღნიშნული თანხები დაინიშნულა დადგენილ ვადებში იქნება ათვისებული, ეს რაიონის ეკონომიკას დიდად წაადგება.

იმედი მაქვს, ბაღდათობის დღესასწაულის ჩატარების ტრადიცია არ დაირღვევა, ის ყოველწლიურად გაიმართება, როგორც ეს საქართველოს ბევრ რეგიონში ხდება. გაიზრდება მასში მონაწილეთა რაოდენობა, რაიონი მიაღწევს ეკონომიკურ აღმავლობას და ეს ნათლად გამოჩნდება დღესასწაულზე.

შაქრო კვირიკაშვილი

## 20 წლის იუბილე ვანი - ბაღდათის ეპარქიაში

საუბიუმო განწყობა სუფევდა ვანი-ბაღდათის ეპარქიაში 10 ნოემბერს, ნამდვილი სულის ზეიმი – მეუფე ანტონის მღვდელმთავრად კურთხევისა და ვანი-ბაღდათის ეპარქიის დაარსებიდან 20 წელი შესრულდა. წმინდა ნინოსა და მშობელთა მისთა-ზაბულონისა და სოსანას სახელობის ვანის საკათედრო ტაძარში სადღესასწაულო წირვა აღავლინა მალაყოვლადუსამღვდლოესმა მიტროპოლიტმა ანტონმა (ბულუხია). მსახურებას ესწრებოდა ვანი-ბაღდათის ეპარქიის სამღვდლო დასი და სამონაზვნე წესი, მთავრობა და მხედრობა, ვანისა და ბაღდათის ეპარქიის მრევლი. საიუბილეო თარიღის აღსანიშნავად ორი ტაძრის მშენებლობას ჩაეყარა საფუძველი: წმ.ნინოს სახელობის ვანის სკოლა-გიმნაზიის ეზოში და სოფელ ზენობაში. ღონისძიება გაგრძელდა ვანის კულტურის ცენტრში, სადაც წარმოდგენილი იქნა სპექტაკლი „ნატაძრალთან“.

ჯერ კიდევ ორი ათეული წლის წინ საქართველოში სულ რამდენიმე ეპარქია არსებობდა. 1995 წელს დაისვა საკითხი ეპარქიების დაყოფის შესახებ, კერძოდ, ქუთათელ-გაენათის ეპარქიისაგან გამოიყო ვანი-ბაღ-

დათის ეპარქია. 1996 წლის 10 ნოემბერს უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის მიერ მოხდა მეუფე ანტონის ხელდასახვა ვანი-ბაღდათის ეპარქიის მღვდელმთავრად. ამ დღით თარიღდება ფაქტობრივად ეპარქიის დაარსება.

პირველი წირვა ბაღდათში, ვანი-ბაღდათის ეპარქიის დაარსებიდან, ჩატარდა სოფ. ქვედა დიშის მთავარანგელოზის სახ.ტაძარში 1996 წლის 21 ნოემბერს, მთავარანგელოზობის დღესასწაულზე. წირვა აღავლინა მღვდელმთავარმა მეუფე ანტონმა.

ვანი-ბაღდათის ეპარქიის შექმნის მომენტისათვის ეპარქიაში მოქმედი სამი ტაძარი (სამივე წმ. გიორგის სახელობის) და ოთხი მღვდელმსახური იყო მხოლოდ, მათ შორის ერთი ბაღდათში, სოფ. ზედა დიშის ტაძარი, სადაც მსახურებდნენ მამა იოსები (შალამბერიძე) და მამა დავითი (ბურჯანაძე), და ორი ვანში, სადაც მსახურებას ატარებდნენ მამა გრიგოლი (ხოჯავა) და მამა ზაქარია (დვალისვილი). პერიოდულად მსახურებები ტარდებოდა ოზრაში და ხანში.

საზოგადოდ, მოქმედ ეკლესიაში წირვა-ლოცვა ყოველკვირე-

ულად უნდა აღესრულებოდა. სოფ. ქვედა დიშის მთავარანგელოზის სახ. ტაძარში მალე მსახურება აღდგა და დადგენილი იქნა მამა დავითი (ბურჯანაძე). ეპარქიაში უკვე ოთხი მუდმივმოქმედი ტაძარი არსებობდა, რასაც თანდათან ემატებოდა და მრავლდებოდა ეკლესია-მონასტრების რაოდენობა.

დღეისათვის ვანი-ბაღდათის ეპარქიაში 50-ზე მეტი მოქმედი ეკლესია და 55-მდე სასულიერო პირია, მათგან ბაღდათის ოლქში 26 ტაძარი და 23 მოძღვარია. ეპარქიაში ხელდასხმული რამდენიმე ღვთისმსახური სხვადასხვა ეპარქიაში მსახურებს. ოთხი მოძღვარი იმეორეში გადასახლდა – არქიმანდრიტი ზაბულონი (ნოდია), მამა იაკობი ჩოგოვაძე, მამა დოსითეოსი შემაზაშვილი და დიაკონი ლაზარე ხურციძე.

მღვდელმთავრის დამსახურება ის, რომ ეპარქიაში სამი მამათა და სამი დედათა მონასტერი ფუნქციონირებს. მათგან, ბაღდათში არის ორი მამათა მონასტერი – ფერსათსა და გოთიეთში, ხოლო ორი დედათა – რეზიდენციასთან არსებული წმ. კეთილმსახურის თამარ მეფის სახელობისა და სოფ. დიშის წმ.ნინოს სახელობის მონასტერი-

ბი, სადაც 15-ზე მეტი ბერმონაზონია. დედა ნინო (ნოდია) ილუმენიას ხარისხში იქნა აყვანილი.

მეუფის ხელდასხმით უამრავი ღვთისმსახურის კურთხევა აღესრულა. პირველი ხელდასხმა მღვდელმთავრის მიერ შესრულდა ეპარქიის დაარსებიდან ორ თვეში: მოძღვრად ეკურთხა მამა მარკოზი სვანიძე, რომელიც მეუფის კურთხევით სოფ. ვარცხის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძარში დადგინდა.

ბაღდათის საკათედრო ტაძ-

რის მშენებლობას საფუძველი ჩაეყარა 1993 წელს. პირველ სართულზე პირველი წირვა შესრულდა 1998 წლის 22 ივნისს.

ვანის ოლქში მოქმედებს წმ. ნინოს სახელობის ვანის სკოლა-გიმნაზია, რომელიც წელს პირველად გამოუშვებს კურსდამთავრებულს. სამომავლოდ იგეგმება წმ. კეთილმსახურის თამარ მეფის სახელობის სკოლა-გიმნაზიის გახსნა ბაღდათში, რომელიც მოემსახურება მომავალი თაობის აღზრდის საქმეს.





**“ჩემი გაზეთის” რუბრიკა — “ერთი სამსახურის ერთი დღე” ბალდათის მუნიციპალიტეტის გამგეობის სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის შესახებ ვიამბობთ. მისი სტრუქტურისა და საქმიანობის გარდა, მოვითხრობთ უფასო სასადილოზე, რომელსაც აღნიშნული სამსახური აფინანსებს. ინფორმაციისთვის “ჩემი გაზეთი” ბალდათის სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურსა და უფასო სასადილოს ეწვია.**

სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახური წარმოადგენს გამგეობის სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალური და სამართლებრივი უფლებების განხორციელებას.

სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურში დასაქმებულია 5 თანამშრომელი — სამსახურის უფროსი — ქალბატონი ლიანა გიორგიძე, რომელიც ხელმძღვანელობს სტრუქტურული ერთეულის საქმიანობას და 4 მთავარი სპეციალისტი.

მიმდინარე წლის განვლილი თერთმეტი თვის განმავლობაში აღნიშნულმა სამსახურმა ბევრი სასიკეთო საქმე გააკეთა ჩვენი მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის და ფინანსურად დაეხმარა მათ:

სამედიცინო სფეროში — 655 ადამიანს;

სამამულო ომის მონაწილეებისა და ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლთა 5 ოჯახს, ომის ვეტერანის გარდაცვალების გამო, სარიტუალო მომსახურებისათვის — თითოეულს 250 ლარის ოდენობით;

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულთა 15 ოჯახს - თითოეულს 100 ლარის ოდენობით.

ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვის კუთხით 97 ახალშობილს - თითოეულს სოციალური პროგრამის შესაბამისად;

სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებულ 7 ოჯახს, ბინის ქირით;

ჩერნობილის აეს-ის აღდგენით სამუშაოებში მონაწილე 11 ადამიანს - თითოეულს 200 ლარის ოდენობით;

7 დღეგრძელ (100-ზე მეტი წლის ასაკის) მოქალაქეს - თითოეულს 200 ლარის ოდენობით; ტრანსპორტირებისა და მედი-



ერთი სამსახურის ერთი დღე  
**სოციალური  
და  
ჯანმრთელობის  
დაცვის  
სამსახური**

კამენტური მკურნალობისათვის დიალიზით მოსარგებლე 11 ადამიანს ყოველთვიურად 130 ლარის ოდენობით;

II მსოფლიო ომის ვეტერანებსა და მარჩენალდაკარგული ოჯახის წევრებს, სულ 8 კაცს, თითოეულს 100 ლარის ოდენობით;

2008 წლის აგვისტოს ომის მონაწილე 2 მეომარს;

17 ოქტომბერს, ომის ვეტერანის დღესთან დაკავშირებით, მუნიციპალიტეტში მცხოვრებ გაჭირვებულ და ინვალიდ (შშმპ) ვეტერანებს.

უფასო სასადილოს დაფინანსებისათვის 2016 წელს 45 000 ლარია გამოყოფილი. აღნიშნული დანებს უზღვევს გამგეობის 56 ბენეფიციარს, კვირაში 6 დღე ერთჯერადი უფასო კვებით. სადილობის დროა 13:00-15:00-მდე. ბენეფიციართა ნაწილი ადგილზევე მიირთმევენ სადილს, ზოგს სახლში მიაქვს. ხოლო 6 ბენეფიციარისათვის, რადგანაც იქ მისვლა ავადმყოფობის გამო არ შეუძლიათ, სასადილოს პერსონალს თავად მიაქვს საკვები. მენიუ მრავალფეროვანია. აქვთ როგორც ხორცის კერძები,

ისე თევზული, ბოსტნეული და ბურღულეული. სადილის დროს ბენეფიციარები მიირთმევენ ორი სახეობის კერძს პურთან ერთად და ხილის წვეს...

ბენეფიციარები კმაყოფილები არიან მომსახურებითა და საკვებით. ტრადიციულად, მათ ახალ წელსა და აღდგომის დღესასწაულზე ბალდათის მუნიციპალიტეტის გამგეობის სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურისგან საჩუქრები გადაეცემათ.

მარიამ ოქროჭელიძე

## მე არ ვცნობ შეზღუდვას, ვირჩევ თანაბარ შესაძლებლობებს!



3 დეკემბერი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საერთაშორისო დღეა. ამ დღეს უკვე მეხუთე წელია, რაც საქართველო, რეგულარულად აღნიშნავს.

3 დეკემბერი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საერთაშორისო დღედ დამკვიდრდა მას შემდეგ, რაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ 2006 წლის 3 დეკემბერს “შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის კონვენცია” დაამტკიცა.

რა უფლებებს ანიჭებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს გაეროს კონვენცია?

კონვენციის თანახმად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, სხვა პირთა თანაბრად აქვთ:

- სიცოცხლის უფლება
- კანონის წინაშე თანასწორობის უფლება
- პიროვნების ხელშეუხებლობის უფლება
- მოქალაქეობისა და გადაადგილების თავისუფლება
- დამოუკიდებელი ცხოვრებისა და საზოგადოებაში ჩართვის უფლება
- ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლება
- პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება
- საცხოვრებლისა და ოჯახის პატივისცემის უფლება
- განათლების და ჯანმრთელობის უფლება
- შრომისა და დასაქმების უფლება
- ცხოვრების ადეკვატური სტანდარტის და სოციალური დაცვის უფლება
- პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლება
- კულტურულ, სპორტულ, გასართობ ღონისძიებებში მონაწილეობის უფლება

ვინ ითვლება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირად?

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ გაერთიანებული ერების 2006 წლის კონვენციის პირველი მუხლის თანახმად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს მიეკუთვნებიან პირები, ფიზიკური, ფსიქიკური, ინტელექტუალური ან სენსორული მყარი დარღვევებით, რომელთა ურთიერთქმედებამ სხვადასხვა დაბრკოლებებთან შესაძლოა ხელი შეუშალოს ამ პირის სრულ და ეფექტურ მონაწილეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში, სხვებთან თანაბარ პირობებში. რას ითვალისწინებს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის კუთხით?

„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად:

- სახელმწიფო უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალურ დაცვას და უქმნის მათ საჭირო პირობებს ინდივიდუალური

განვითარების, შემოქმედებითი და სანარმოო შესაძლებლობების რეალიზაციისათვის

- საქართველოს შრომის კოდექსის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, შრომით ურთიერთობაში აკრძალულია დისკრიმინაცია შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით;

„იმისათვის, რომ რეალური შედეგი მივიღოთ შშმ პირების ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებისა და უფლებების რეალიზაციის თვალსაზრისით, საზოგადოების ერთიანობასა და ერთსულოვნებას გადაამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.“

საქართველოში კვლავაც პრობლემური რჩება შშმ პირთა უფლებების რეალიზაცია, საზოგადოებაში ინტეგრაცია, მათი საზოგადოებრივ სიკეთებზე თანაბარი ხელმისაწვდომობა, საზოგადოებრივ ცნობიერება და ინფორმირებულობის ხარისხი.

სწორ შემთხვევაში, შესაძლებლობების შეზღუდვა გამომდინარეობს არა საკუთრივ მათი რესურსებიდან, არამედ გარემოსგან, რომელიც მათ დისკრიმინაციულ მდგომარეობაში

აყენებს. ამით ზარალდება არა მხოლოდ შშმ პირთა თემი, არამედ მთლიანად საზოგადოება, რომელიც მათი სახით დიდ ადამიანურ რესურსს კარგავს.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საერთაშორისო დღე ბალდათის მუნიციპალიტეტმა სხვადასხვა აქტივობებით აღნიშნა.

ბალდათის მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკორდინაციო საბჭოს წევრები წარდგენილი იყვნენ და აქტიური მონაწილეობა მიიღეს ბათუმში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვისადმი მიძღვნილ შემაჯამებელ კონფერენციაზე.

ცნობიერების ამაღლების მიზნით ჩატარდა წითელხევის საჯარო სკოლაში (დირექტორი ნინო კოტორეიშვილი) ღონისძიება „ვისწავლოთ ერთად“.

ბალდათის კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ინიციატივით ბალდათის სპორტულ სკოლაში ჩატარდა ღონისძიება „გარემო ყველასათვის“.



# ხელბურულ-ისტორიულ ძეგლთა გადარჩენისთვის

საქართველოს მინაზე არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილ საოცრებათა გამო მე, როგორც ერთ-ერთ ქართველს, ისეთი განცდა მეუფლება, რომ მსოფლიო ცივილიზაციის კარიბჭე ამ კურთხეულ მინაზე იღება და მის წინააღმდეგ დევნილია ჯერ კიდევ საიდუმლოების ბურუსით მოცული ჩვენი ერის ისტორიის მრავალი საოცრება. ამიტომ ძიებაა საშური, კვლევაა აუცილებელი, ეს მამულიშვილური მისიაა, რომელიც ყველა ქართველს უნდა აერთიანებდეს.

ბაღდათის მინაც მრავალ საიდუმლოს ინახავს. მისი ამოხსნისა და არსებული ძეგლების დაცვის სურვილით, მათი სამეცნიერო კვლევა-ძიებისა და აღდგენა-რეაბილიტაციის მიზნით, ბატონმა ალექსანდრე მარუაშვილმა - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უფროსმა მეცნიერ-თანამშრომელმა, ისტორიის მეცნიერებათა აკადემიურმა დოქტორმა და ბატონმა გია ხორავამ — ბაღდათის ტურიზმისა და კურორტების განვითარების ცენტრის მენეჯერმა, არაერთი სამეცნიერო ექსპედიცია განახორციელეს, რომლის შედეგად გამოვლენილ იქნა ბევრი კულტურულ-ისტორიული ძეგლი. ამ ძეგლების სამეცნიერო შესწავლის, მათი კლასიფიკაციის, ისტორიულ-საარქეოლოგიური მასალის შეგროვების შედეგად, ბაღდათის ისტორიულ ნარსულთან მიმართებაში გამოიკვეთა საკმაოდ საინტერესო სურათი. შეგროვებული ისტორიულ-დოკუმენტური და ფოტოკოორდინირებული მასალის თავმოყრის შედეგად გადაწყდა, რომ ადგილობრივ საზოგადოებასთან და მონვეულ სპეციალისტებთან ერთად გაგრძელებულიყო ბაღდათის კულტურულ-ისტორიულ ძეგლთა შესწავლა. ამ მიზნით შეიქმნა ბაღდათის კულტურულ-ისტორიულ ძეგლთა გადარჩენის საორგანიზაციო ჯგუფი. ჯგუფის წევრები არიან: გრიგოლ მაჩიტაძე, ირაკლი გეგეშიძე, გელა მშვილდაძე, გიორგი დვალაშვილი — თსუ-ს ასისტენტი-პროფესორი, გეოგრაფიის აკადემიური დოქტორი, ბექა კუჭუხიძე, შუქრი ნაკაშიძე, ზურაბ თოლორდავა, სერგო აკიმეიძე, მამუკა გორგოძე, გიორგი ჯაბიძე, თემურ ქრულაშვილი, გიორგი ტაბეშაძე, ოთარ ივანიშვილი, არქეოლოგი — გაგა ლომინაშვილი, ისტორიკოსი — გია თავაძე, ფრიდონ მაჩიტაძე, მერაბ ნერგაძე, ჯუანშერ გეგეშიძე, ქალბატონები - ლალი გურული, ანჟელინა ჭავჭავაძე, თეა ქაშაყაძე. აგერ უკვე ორი წელია, რუდუნებითა

და მონესრიგებულობით სხდომებს მდივნობს მაია დენოსაშვილი.

ამ ორგანიზაციის ჩამოყალიბება გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ მუნიციპალიტეტი საკმაოდ მდიდარია როგორც წარმართული პერიოდის, ასევე ადრექრისტიანული და გვიან შუასაუკუნეების ძეგლებით, რომელთა უმეტესობა სასწრაფო შესწავლასა და მოვლა-პატრონობას საჭიროებს. ჯგუფი დაფუძნდა 2015 წლის აგვისტოში. ყველასათვის ნათელია, რომ საქართველოს ეკონომიკური განვითარების გზა ტურიზმზე გადის. მიგნებული და გეგმაზომიერად წარმართული მუშაობა ამ ჯგუფისა სწორედ ამ მიზანს ისახავს. ჯგუფის წევრები თვეში ერთხელ იკრიბებიან და სხდომაზე იხილავენ აქტუალურ საკითხებს. წინასწარ შერჩეული თემატიკით ისინი თავს უყრიან - უკვე მეცნიერულად შესწავლილი მასალის საფუძველზე, ბაღდათის ტერიტორიაზე არსებული ძეგლების ისტორიას, რასაც ამდღებენ ხალხში გაბნეული თქმულებებითა და მოგონებებით, იკვლევენ ბაღდათის გამოჩენილ პირთა საქმიანობასა და მოღვაწეობას. ჯგუფის თავკაცების საბოლოო მიზანია, რომ ისტორიული ძეგლების აღდგენა მოხდეს სრული ავთენტურობის დაცვით და არქეოლოგიური და საპროექტო სამუშაოები ჩატარდეს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოსთან და საპატრიარქოსთან შეთანხმებით.

ჯგუფის მუშაობამ ფართო რეზონანსი შეიძინა. სხდომებს ხშირად ესწრებიან გამგებობის, საკრებულოსა და საპატრიარქოს წარმომადგენლები. ჯგუფის ხშირი სტუმარია არქიმანდრიტი მაკარი (აბესაძე), დეკანოზი მიქაელი (გიორგობიანი), მამა ეფრემი (ნუცუბიძე)..... ომარ ნიშნიანიძე, კობა ლურსმანაშვილი, კობა კიკნაველიძე ... საზოგადოების საქმიანობა შეუქმნა მასმედიის საშუალებით. ხშირ შემთხვევაში ტელეკომპანიებისა და ჟურნალ-გაზეთების წარმომადგენლები უშუალო მონაწილენი არიან სხდომების: საპატრიარქოს ტელეარხი "ერთსულოვნება", ტელეკომპანია GDS, ტელეკომპანია "რუსთავი 2"...

კარგი ურთიერთობა დამყარდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, მასთან არსებულ საბავშვო უნივერსიტეტთან, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთან, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოსთან... ამ ორგანიზაციის წარმომადგენლები რამ-



დენჯერმე სტუმრობდნენ ბაღდათის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ისტორიულ ძეგლებს და "ბაღდათის კულტურულ-ისტორიულ ძეგლთა გადარჩენის საორგანიზაციო ჯგუფის" სხდომას, რათა დეტალურად გაეცნობოდნენ ჯგუფის საქმიანობას.

ბოლო სხდომა მიძღვნა ქართველი და ებრაელი ხალხის ოცდაექვსაუკუნოვან მეგობრობას, სხდომა ჩატარდა ვ.ვ. მაიაკოვსკის სახლ-მუზეუმის სააქტო დარბაზში. სხდომას ესწრებოდა იერუსალიმის დელეგაცია ჯგუფის სრულფუნქციონირების წყალობით, იგი ამავე ორგანიზაციის წარმომადგენელია ისრაელში. სხდომის წევრებმა ჯგუფის საპატიო წევრად აირჩიეს გამოჩენილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, აკადემიკოსი ბატონი იცხაკ დავითი, რომელიც ამჟამად ვაშინგტონში მოღვაწეობს. ამავე სხდომაზე ნ. კახიძემ წარმოადგინა წარმოშობით ობჩელის, ჰერალდიკოსისა და მხატვრის — ემირ ბურჯანაძის ნამუშევრები.

მოკლედ, ჯგუფის საქმიანობა მეტად მრავალმომცველია, მაგრამ იგი უფრო წარმატებული და ტურიზმის განვითარებაზე ორიენტირებული რომ იყოს, საჭიროა გარკვეული ფინანსები.

საგულეოსშია ის გარემოება, რომ აგერ უკვე ორი წელია, ჯგუფის თითოეული წევრი თავკაცების მსგავსად აქტიურ სამეცნიერო და საველე საქმიანობაში მუშაობას შესაშური ენთუზიაზმით ახორციელებს. მიზანი დიდია, საქმე კი ბევრია გასაკეთებელი, საბოლოო შედეგი გათვლილია ტურიზმის აღორძინებასა და ბაღდათის მუნიციპალიტეტის ეკონომი-

კურ აღმასვლაზე. ამ საშეიშვილო საქმის განხორციელებისათვის ჯგუფს ესაჭიროება ფინანსური დახმარება. საჭიროდ მიმაჩნია, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის მესვეურებმა 2017 წლის ბიუჯეტში მიზნობრივად თანხა მაინც გამოყოფნ. ჯგუფს, ჩემი აზრით, ხელი უნდა ნააშველონ კულტურის სამინისტრომ და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტომ, ასევე ფინანსური დახმარება უნდა გაუწიონ მეცნიერული სულისკვეთებით გამსჭვალულმა რაიონის მკვიდრებმა, ხოლო კურორტ საირმის მესვეურებმა ნამდვილად უნდა იზრუნონ ამ ჯგუფის დაფინანსებაზე თუნდაც იმიტომ, რომ საირმის, ზეკარისა და ხანის ტერიტორიები გამორჩეულია აღდგენილი თუ აღსადგენი ძეგლების სიმრავლით. ჯგუფის მიერ წარმოებულმა ინტენსიურმა სამუშაოებმა ნათელყო, რომ არის იმის წინაპირობა, ამ ადგილებში მრავალი საინტერესო აღმოჩენის მოწმე გაეხდეთ. ტურიზმის განვითარების ხელშეწყობით, დიდი ალბათობით, მათი ფინანსური კეთილდღეობაც იქნება უზრუნველყოფილი. ჯგუფის დამფუძნებლებს მუშაობის პრიორიტეტად მიაჩნიათ, ჯგუფის წევრთა მიერ მოძიებული და დამუშავებული მასალები საგნობრივად დალაგდეს, მეცნიერულად დამუშავდეს და გამოიკვს ნიგნად.

ჩემი დიდი სურვილია, ვისაც როგორ ევალეზა, ვისაც როგორ ხელეწიფება, ფინანსურად შეეხილოს ამ ჯგუფის საქმიანობას. იგი ნამდვილად დიდ სამშეიშვილო საქმეს აკეთებს და გათვლილია უკეთეს მომავალზე.

ანჟელინა ჭავჭავაძე



## მწვანე აქტივობები

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად CENN-ისა და საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ერთობლივი ინიციატივით, 2014 წლიდან, ნიკო კეცხოველის სახელობის ყოველწლიური სასკოლო პრემია დაარსდა.

ინიციატივა ხორციელდება პროექტის «ტყის მდგრადი მართვა საქართველოში» ფარგლებში და მისი მიზანია გარემოსდაცვითი განათლების ხელშეწყობა და სკოლების სტიმულირება აღნიშნული მიმართულებით.

ამჯერად გამოცხადებულია კონკუსი 2017 წლის პრემიის მოსაპოვებლად, რომელიც გულისხმობს აქტიური გარემოსდაცვითი სამოქალაქო ინიციატივების მხარდაჭერას სკოლებში. პარალელურად მიმდინარეობს ფოტოკონკურსი «ფოტო სინთეზი 2017».

საკონკურსო ინსტრუქციების ეფექტიანი მიწოდების, კონკურსის არეალის გაფართოებისა და მასში მეტი სკოლის ჩართვის მიზნით დაიბეჭდა პოსტერები და გავრცელდა სკოლებში; მთელი ზაფხულის განმავლობაში მიმდინარეობდა ეკობანაკები, რომელშიც საქართველოს

60-მდე სკოლის 130-მდე მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა.

კონკურსი არის უნიკალური შანსი სკოლებისათვის (მოსწავლეებისა და პედაგოგებისათვის) წარმოაჩინონ საკუთარი თავი, დაგეგმონ და განახორციელონ «მწვანე აქტივობები» და ამგვარად შეიტანონ გარემოსდაცვითი კომპონენტი საგანმანათლებლო პროცესში; რაც მთავარია - მოიპოვონ ნიკო კეცხოველის პრემია და უამრავი პრიზი პარტნიორი სამინისტროებისა და კერძო ორგანიზაციებისაგან.

### ნიკო კეცხოველის პრემია

მოგესალმებათ ტარიელ კვირიკაშვილის ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ ნითელხევის საჯარო სკოლის გუნდი "სიმბიოზი".

ჩვენი გუნდი ჩართულია პროექტში "ნიკო კეცხოველის პრემია", რისთვისაც ბევრ და საინტერესო აქტივობებს ვახორციელებთ ქულების დასაგროვებლად.

ჩვენი სოფლის მოსახლეობაში ჩავატარეთ გარემოსდაცვითი მონიტორინგი, რომელიც უკავშირდება ტყეების მართვას, კერძოდ, მუშაობა უზრუნველყოფას.

CENN-ის მიერ მოწოდებული კითხვარი დაგვეხმარა გაგვეგო მოსახლეობის ტიპიკური იმასთან დაკავშირებით, თუ რაოდენ ძვირი უფლებათა მუშაობა მომარაგება. გამოკითხვით სოფლის უმეტესი ოჯახი და თითქმის ყველას ერთნაირი პრობლემა აქვს — უმუშაოა, არც თუ ისე ბევრია ისეთი ოჯახი, რომელსაც ეს პრობლემა მოგვარებული აქვს.

ჩვენი მოსახლეობის 90% ზამთარში შემოიხიბება, 10% კი — ბუნებრივ აირს, გაზს მოიხმარს. ერთ ოჯახს ერთი წლის განმავლობაში 6-7 მ. კუბი შემა ესაჭიროება, მაგრამ თვითონ არა აქვს უფლება ნავიდეს და ხე მოჭრას (უსასხრობის შემთხვევაში ასეც იქცევიან, რითაც ზიანდება ტყე და, საერთოდ, ბუნება, თავადაც პრობლემები ექმნებათ). ოჯახი უკავშირდება ინდემნარმეს, რომელსაც აქვს უფლება ტყიდან შემა გამოიტანოს, იხდის ბანკში ბილეთის საფასურს და ისე ყიდულობს გასათბობ შეშას. 1 მ. კუბი საშუალოდ 90-100 ლარი ღირს; მთლიანად კი 550-700 ლარამდე უფლებდა ოჯახს სარჩო შეშის მოპოვება. ჩვენი მოსახლეობის უმრავლესობას სახსრები არ გააჩნია იმისა, რომ ამდენი ფული გადაიხადოს და

ზამთარში სითბო ჰქონდეს. წარმოიდგინეთ, რა გაჭირვებაში იქნებიან ისინი, ვის ოჯახშიც ლუშელი არ თბება.

ჩვენს მუნიციპალიტეტში მოსახლეობა შემოიხიბება ძირითადად ზეგანისა და ხანის ტყეებიდან მარაგდება, რაც 20-30 კმ-ის მანძილზეა დაშორებული. იქ შეშად იჭრება ზედმეტი ხეები: რცხილა და ნიფელა. მოჭრილი შეშა "ურალის" ან "კამაზის" მარკის ავტომანქანებით გამოაქვთ და ამარაგებენ იმ ოჯახებს, რომლებსაც 550-700 ლარი აქვთ გადახდილი. ის ოჯახები კი, რომლებსაც არა აქვს შეშის ფული, ფიჩხსა და ხმელ ტოტებს იყენებენ გასათბობად, მაგრამ მათი საშუალებით ოჯახი სითბოს პრობლემა ვერ აგვარებს და, ფაქტობრივად, სიცივეში უწევს გამოზამთრება.

სოფელში გამოკითხულთა ოჯახების ნახევარი იყენებს თუნუქის თხელკედლიან ლუმელს, რომელიც ნაკლებად ინარჩუნებს სითბოს, ადვილად სურდება, მაგრამ მალევე ცივდება. გამოკითხულთა ნახევარი კი სვანურ ლუმელს ხმარობს, რომლითაც სითბოს კარგად ინარჩუნებენ.

გაგრძელება VI გვ.



# ფესვები

## მეფე-ფარნავაზის მოღვაწეობა და დიმიას (დიმის) ციხე

დღევანდელ ნომერში ვაგრძელებთ ზურაბ თოლორდავას ისტორიულ ნარკვევს - „მეფე ფარნავაზის მოღვაწეობა და დიმიას (დიმის) ციხე“.

შორაპნის ციხე ანტიკური და შუა საუკუნეების ციხე-სიმაგრეა დასავლეთ საქართველოში, – მდინარეების ყვირილასა და ძირულას შესართავში. პირველად მოიხსენიებს სტრაბონი ძვ. წელთაღრიცხვის I და ახ. წელთაღრიცხვის I სს-ში. სტრაბონის თქმით, **შორაპნის ციხე** იმდენად დიდი იყო, რომ მასში თავისუფლად ეტეოდა ქალაქის მოსახლეობა. ეგრისის 542-562 წლების ირან-ბიზანტიის ომის დროს ხელიდან ხელში გადადიოდა. **შორაპნის ციხე** გვიანდელ ხანაშიც მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტი იყო. 1730 წელს ოსმალებმა დაიკავეს. 1770 წელს სოლომოს I-მა გაათავისუფლა. დღეს შემორჩენილია **შორაპნის ციხის** ნანგრევები 0.5 ჰა ფართობზე. შეიმჩნევა რამდენიმე სამშენებლო ფენა – ანტიკურიდან გვიან ფეოდალურ ხანამდე.

**დიმიას (დიმის) ციხე** ბაღდათის მუნიციპალიტეტში, სოფელ ზედა დიმის მიდამოებში მდებარეობს (**დიმი, დიმიას** მოგვიანო სახელწოდებაა, დაახლოებით XVII-XVIII სს-დან).

მიუხედავად იმისა, რომ არავის უცდია „ქართლის ცხოვრების“ ლეონტი მროველისეული ცნობის, მეფე ფარნავაზის მიერ **დიმიას ციხის** აშენების ფაქტის უარყოფა, ვახუშტი ბაგრატიონის გარდა, არცერთი სერიოზული მკვლევარი **დიმიას ციხით** არ დაინტერესებულა. გამონაკლისს წარმოადგენს სასიქადულო ქართველი ისტორიკოსი, ქართული ისტორიული გეოგრაფიის ერთ-ერთი დამაარსებელი აკადემიკოსი ნიკო ბერძენიშვილი, რომელსაც XX ს-ის 50-იან წლებში ისტორიკოს გიორგი ცქიტიშვილის რჩევით და მეგზურობით მოუხაზულებია **დიმიას ციხე** და უაღრესად საინტერესო მოსაზრებები აქვს გამოთქმული მის შესახებ.

ლეონტი მროველის შემდეგ პირველი ქართველი ისტორიკოსი, რომელიც მოიხსენიებს **დიმიას ციხეს**, არის ვახუშტი ბაგრატიონი (XVIII საუკუნე). იგი აღნიშნავს: „ხანის წყლის აღმოსავლით და ყვირილის მდინარის სამხრით, ფერსათის (მთის) კალთას არს დიმი, სადაცა ჰყო პირველმან მეფემან ფარნავაზ ციხე მტკიცე, და ან არს დაბა“. ვახუშტიმ პირველმა გააიგივა **დიმიას ციხე, დიმის ციხესთან**.

ლეონტი მროველისა და ვახუშტი ბაგრატიონის გარდა, არცერთი წერილობითი წყარო — არც ქართული, არც უცხოური არ მოიხსენიებს **დიმიას ციხეს**. არ მოიხსენიებს მას არც სტრაბონი, არც VI საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსები პროკოპი კესარიელი და აგათი და ასევე სხვები, როცა აღწერენ ეგრისში ბიზანტია-ირანის ოცნლიან ომს (542-562 წწ) მაშინ, როცა მათ ქრონიკებში დასავლეთ საქართველოს იმდროინდელი, თითქმის ყველა ციხე და ქალაქია მოხსენიებული. ვფიქრობთ, აღნიშნული გარემოება შემდეგი მიზეზით უნდა აიხსნას: როგორც ჩანს, **დიმიას ციხეს** ახალი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში თავისი ფუნქცია, რომელიც მას ფარნავაზის ეპოქაში ენიჭებოდა, როცა იგი არგვეთის საერისთავოში შედიოდა, ყოფილიყო აღმოსავლეთ საქართველოს (იბერიის), დასავლეთ და სამხრეთ საქართველოში ექსპანსიის განაპირა ფორპოსტი — უკვე დაკარგული აქვს; ახალი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში, ლაზთა გაძლიერების შემდეგ, **შორაპნის** და **დიმიას ციხეებს**, საერთოდ, თითქმის მთელ არგვეთის საერისთავოს კვლავ ლაზები უწევნ კონტროლს და არ უნდა იყოს გასაკვირი, თუ ახალი წელთაღრიცხვის VI საუკუნის მრავალი ბერძნულ-რომაული წყარო შორაპნის



ციხის აღმშენებლად შეცდომით ლაზებს ასახელებს, ხოლო **დიმიას** საერთოდ არ მოიხსენიებს. ამის მიზეზი შეიძლება კიდევ ერთი გარემოება იყოს: საფიქრებელია, რომ **დიმიას ციხე** შორაპნისაგან განსხვავებით არ წარმოადგენდა მაინცდამაინც დიდ თავდაცვით ნაგებობას. იგი, მართალია, საკმაოდ ძნელად მისადგომ ბორცვზე მდებარეობდა, მაგრამ ტერიტორიული სიმცირის გამო (ციხის სავარაუდო ზღუდეთა გარშემოწერილობა არ აღემატება 150 მეტრს), არ გამოდგებოდა ხანგრძლივი და მძიმე თავდაცვითი ბრძოლებისათვის. ამიტომ ვფიქრობთ, **დიმიას** უფრო მეტად სათვალთვლო ციხეა; აქედან, როგორც ხელის გულზე, ისე მოჩანდა სამხრეთის მხარეს საკრაულას და ზეკრის ხეობებიდან გამოშავალი გზები, დასავლეთით **დადოს (ფერსათის)** მთები, ჩრდილო-დასავლეთით **მუხურისის ქვეყანა**, რომელიც ბერძნულ-რომაულ წყაროებში დასახელებულია სხვადასხვა ვარიანტებით — მოხირისი, მოხორა, მუხორისი, მუხლესოსი და როგორც ქალაქის, ასევე მხარის აღსანიშნავად გაიზარებოდა - მდებარეობდა ცხენისწყლის აღმოსავლეთით მდინარეების ხანისწყლის, ყვირილასა და რიონის მიმდებარე ტერიტორიებზე. მისი არეალი ვრცელდებოდა შორაპნამდეც კი. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ **დიმიას ციხე** მდებარეობდა არგვეთიდან ოძრხის (სამცხე, აჭარა) საერისთავოზე მიმავალ გზაზე, და აგრეთვე იმასაც, რომ აქედან გადიოდა გზები: აღმოსავლეთით, ოძრხის გავლით შორაპნამდე და სამხრეთით ზეგან-საკრაულას ხეობით, სოფლების ჩალხეთისა და ვარძიის (ამჟამად ნასოფლარებია დღევანდელ ხარაგაულის მუნიციპალიტეტში) გავლით ლიხის ქედამდე, არ გაგვიჭირდება წარმოვიდგინოთ **დიმიას ციხის** სტრატეგიული დანიშნულება.

ბუნებრივად იბადება კითხვა: თუ კი **დიმიას ციხის** სტრატეგიული დანიშნულება — ვიზუალურად ვრცელი ტერიტორიების გაკონტროლება — ეჭვს არ იწვევს, რით აიხსნება ბიზანტიელი ისტორიკოსების დუმილი — მისი არ მოხსენიება ეგრისის ირან-ბიზანტიის ომის (542-562წწ.) აღწერის დროს? პასუხი ერთი შეიძლება იყოს: **დიმიას ციხე** ამ დროს დანგრეულია ლაზების მიერ ახალი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში; მეორე ვარაუდით, ციხე დაანგრეს ბიზანტიელებმა ან ირანელებმა ეგრისის ირან-ბიზანტიის 542-562 წლების 20 წლიანი ომის პირველსავე ხანებში, გასაგები სტრატეგიული მოსაზრებით - მონიშნავდნენ არ გამოეყენებინა თავისი დანიშნულებით (ისტორიული წყაროებით ცნობილია,

რომ ეგრისის 542-562 წწ-ის ირან-ბიზანტიის ომის დროს ბრძოლის ამგვარი ხერხი — ალბუღი ციხე-სიმაგრეების დანგრევა — რამდენჯერმე იქნა გამოყენებული როგორც ირანელების, ასევე ბიზანტიელების მიერ. ანალოგიური ბედი ეწია **დიმიას ციხეს** XVIII საუკუნეშიც; იმერეთში ოსმალთა ბატონობის ხანაში, სავარაუდოდ, XVIII საუკუნის დასაწყისში, ოსმალებმა ფარნავაზის ნაცხარს ახალი გალავანი შემოავლეს და მისი, როგორც სათვალთვლო ციხის ფუნქცია აღადგინეს. მოგვიანებით, 1774 წელს, რუსეთ-თურქეთის ომის დასრულების შემდეგ, ქუჩუკ-კაინარჯის ზავის თანახმად, ოსმალებს უფლება ეძლეოდათ კვლავ ჩაეყენებინათ ჯარი იმერეთის ციხეებში. ამიტომ ისინი, მათ შორის **დიმიასა** და **ბაღდათის (თხმელის)** ციხე-სიმაგრეები იმერეთის მეფის სოლომონ I-ის ბრძანებით დაანგრეს).

**დიმიას ციხე** რომ ფარნავაზის ეპოქაში, მის მიერვეა აგებული, ამას ისიც ადასტურებს, რომ **დიმიას** აშკარად აღმოსავლურ ქართული უღერადობის ტოპონიმია, რადგან დასავლეთ საქართველოს ზანურ-მეგრული წარმოშობის ტოპონიმია, იშვიათი გამონაკლისის გარდა, არ იცნობს „ნა“ სუფიქსიან გეოგრაფიულ სახელებს, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში მრავლად გვხვდება მსგავსი კომპოზიციის ტოპონიმები: **დამიას, დუმიანი** და სხვა.

ნ. ბერძენიშვილის აზრით, **დიმიას ციხის** მიმდებარე ტერიტორიები გვიანი რინჯაოს ხანის დროინდელი **გორაგბია (გორაგბი)** ნ. ბერძენიშვილი გულისხმობს ბორცვებს, შემალღებულ ადგილებს, გორებს, გორაკებს, სადაც ჩვენი უძველესი წინაპრების საცხოვრისი იყო. მიჩნეულია, რომ სიტყვა **გორი**-დან უნდა გამოდიოდეს სიტყვა — გვარი და მართლაც, გვარი (მაშინდელი გაგებით) ერთ გორაკზე, ბორცვზე ერთობლივად მცხოვრებ სისხლით ნათესავეებს აერთიანებდა).

ისტორიკოსები ვარაუდობენ, რომ ფარნავაზის დროს არგვეთის საერისთავოში კოლხური მოდგმის ტომები ცხოვრობდნენ, რაზეც მიგვიანიშნებს უძველესი ზანურ-მეგრული ტოპონიმები, რომლებიც დღესაც განაგრძობენ არსებობას იმერეთში. მაგ; საზანო (სოფელი თერჯოლის მუნიციპალიტეტში) — ზანების სოფელი, წყალტუბო — ქართულად წყალთბილა, ტყიბული — ქართულად ტყის ბალი, ოკრიბა (მხარე და სოფელი ტყიბულის მუნიციპალიტეტში). ზანური **კირიბ** ქართულად კრავს ჰქვია. ზოკრიბა, ანუ საკრავე ადგილი, სადაც კრავი წინარე ქრისტიანული საკულტო შესანიშნავია, სქური

(ნასოფლარი და მდინარე ხანისწყლის ხეობაში). სქური ზანურ-მეგრულად ზოგადად წყალს, მდინარეს ჰქვია და მრავალი სხვა.

ფარნავაზის ეპოქიდან, შესაძლოა უფრო ადრეც, თანდათანობით ხდებოდა აღმოსავლურ და დასავლურ ქართულ ტომთა ასიმილირება, რომელიც, სავარაუდოდ, მშვიდობიანი, მეტ-ნაკლები ინტენსივობის პროცესი იყო. იბერიის პირველი დიდი ექსპანსიის ხანაში (ფარნავაზის დროს) სახეებით შესაძლებელია, რომ იბერიელებმა არგვეთის საერისთავოში ააშენეს ციხეები (ამ შემთხვევაში **შორაპანი** და **დიმიას**) და უნოდეს აღმოსავლურ ქართული სახელები. „იმ დროს ციხე ქვეყნისაგან მოწყვეტილად არ წარმოიხსენებოდა და ამიტომაც ქვეყანას ციხის სახელი ერქვა, ციხეს ქვეყნის სახელი“ (ნ. ბერძენიშვილი). შესაბამისად, ციხეთა სახელები შემდეგ ზოგადად „მიკრო ქვეყნების“ სახელებად გადაიქცეოდნენ. მაგალითისათვის: ქართული ისტორიული გეოგრაფია იცნობს ასეთ „მიკრო ქვეყნებს“: **შორაპნის ქვეყანა, ფერსათის ქვეყანა, დიმიას ქვეყანა** და სხვა.

**დიმიას ციხე** ნანუთის მთის ერთ-ერთ განშტოებაზე, ძნელად მისადგომ გორაკზე, ხანისწყლის აღმოსავლეთით, ქალაქ ბაღდათიდან მე-3 კილომეტრზე მდებარეობს. იგი მთლიანად დანგრეულია. შეინიშნება ნანგრევების ნაშთები, რომელიც უთუოდ იმერეთში ოსმალთა ბატონობის დროინდელია (როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, ოსმალებმა **დიმიას ციხეს** XVIII საუკუნეში ახალი გალავანი შემოავლეს). ფარნავაზის დროინდელი 2300 წლის ციხის საძირკველი, ბუნებრივია, დამინებულია და მისი აღმოჩენა არქეოლოგიურ ჩარევას მოითხოვს; არც ის არის გამორიცხული, რომ ციხის არქეოლოგიური შესწავლის შემდეგ აქ რამდენიმე სამშენებლო ფენის აღმოჩენა მოხდეს. „ამ ადგილს ადგილობრივი მოსახლეობა დღესაც კი **ნაცხარს, ციხის ყელს** უწოდებს, — წერდა ნიკო ბერძენიშვილი დაახლოებით 60 წლის წინათ - დღეს კი ციხის ახლომახლო მიდამოებში მცხოვრები მოსახლეობა მთას, სადაც დიმის ციხე მდებარეობს, **სარკეთას** უწოდებს, რაც, როგორც ჩანს, **სარკის მთასთან** არის გაიგივებული და აქედან უნდა გამოდინარეობდეს. კარგად მიგნებულია სახელწოდება, რადგან აქედან, როგორც სარკეში, ისე მოჩანს ვრცელი სანახები“.

**დიმიას ციხის** ისტორიულ და გეოგრაფიულ მნიშვნელობაზე ზემოთ გვქონდა საუბარი და მეტს არ გავაგრძელებთ, ერთს კი დავძენთ, რომ ნანუთის ქედის განშტოებაზე, სადაც **დიმიას ციხე** მდებარეობს, **გორაგბის** ტიპის რამდენიმე ნამოსახლარია; აქ ადგილობრივი მოსახლეობა უხსოვარი დროიდან ხშირად პოულობდა და პოულობს ბრინჯაოსა და რკინის სხვადასხვა დანიშნულების ნივთებს; შრომისა და ბრძოლის იარაღებს: შუბისა და ისრის პირებს, თოხებს, თიხის ჭურჭლებს, მძივებს და სხვა.

**გორაგბის** ტიპის დასახლებათა სავარაუდო ადგილები გვაქვს არა მარტო ნანუთის ქედის განშტოების არეალში, რომელიც დაახლოებით 5-6 კილომეტრს მოიცავს და **დიმის ციხის** ჩრდილოეთით და სამხრეთით ვრცელდება, არამედ ქ. ბაღდათის დასავლეთით ე.წ. „ფორჩხიძეების გორაზე“, მდინარეების ხანისწყლის, საკრაულას, ნაბლარას, ქერშავეთისა და კორისწყლის ხეობებში.



# საერთაშორისო გამოფენა



30 ნოემბრიდან 2 დეკემბრის ჩათვლით სოფლის მეურნეობის, კვების მრეწველობის, გადამამუშავებელი და შემფუთვით ტექნოლოგიების მე-16 საერთაშორისო გამოფენა გაიმართა. გამოფენა Agro/Food/Drink/Tech 2016 საგამოფენო ცენტრის „ექსპო ჯორჯია“ ორგანიზებით და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და ევროკავშირის პროგრამის ENAPRD (ევროპული სამეზობლოს პროგრამა სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის) მხარდაჭერით ჩატარდა. წელს საგამოფენო სივრცე „ექსპო ჯორჯიას“ მე-11, მე-6 პავილიონებსა და გარე პერიმეტრს მოიცავდა. სოფლის მეურნეობის, კვების მრეწველობის, გადამამუშავებელი და შემფუთვით ტექნოლოგიების საერთაშორისო გამოფენა წარმოადგენს საქართველოში აგრო მიმართულების ერთადერთ მასშტაბურ ღონისძიებას, სადაც წარმოდგენილია სფეროში არსებული უახლესი ტექნოლოგიები, მიმდინარე ტენდენციები, მან-

ქანა-დანადგარები და მომსახურება. ყოველწლიურად იზრდება როგორც გამოფენაში მონაწილე კომპანიების, ასევე გამოფენის ვიზიტორთა რაოდენობა. შესაბამისად, აღნიშნული გამოფენა წარმოადგენს ბიზნესის განვითარების და ახალი კონტაქტების დამყარების კარგ შესაძლებლობას. სოფლის მეურნეობის, კვების მრეწველობის, გადამამუშავებელი და შემფუთვით ტექნოლოგიების მე-16 საერთაშორისო გამოფენა სოფლის მეურნეობის მინისტრმა, ლევან დავითაშვილმა გახსნა. მინისტრმა აღნიშნა, რომ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია არის ერთ-ერთი მიმართულება, სადაც ევროკავშირი სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამეზობლო პროგრამით (ENPARD) ძალიან აქტიურად ეხმარება საქართველოს როგორც ფინანსურად, ასევე თანამედროვე განათლებაზე ხელმისაწვდომობის კუთხით. გახსნის ოფიციალურ ცერემონიას ნიდერლანდების სამეფოს საგანგებო და სრულუფლებიანი

ელჩი საქართველოში იოს დაუმა, იტალიის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ანტონიო ენრიკო ბარტოლი და ბელარუსის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში მიხაილ მიატლიკოვი ესწრებოდნენ. წელს, საგამოფენო ცენტრის მე-6 პავილიონში 40-მდე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივმა (საქართველოს თითქმის ყველა რეგიონიდან) საკუთარ პროდუქციას - თავლი და მეფუტკრეობის პროდუქტები, ჩაი, თხილი, ჩირი, ჩურჩხელა, ყველი, მწვანილი, ბოსტნეული, ხილი - წარმოადგინა. საერთაშორისო გამოფენაში 18 ქვეყნის (საქართველო, უკრაინა, სომხეთი, პოლონეთი, იტალია, უნგრეთი, ნიდერლანდები, პორტუგალია, გერმანია, ლიტვა, თურქეთი და სხვა) 150-მდე კომპანია მონაწილეობდა. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, მანქანა-დანადგარები, ტარა და შესაფუთი მასალები, სასათბურე მეურნეობის ტექნოლოგიები და აღჭურვილობა, სარწყავი სისტემები, ლაბორატორიული აღჭურვილობა, სარგავი და სათესლე მასალები, სასუქი და პესტიციდები, საკონსულტაციო მომსახურება და თანამედროვე ტექნოლოგიები, ასევე სასმელები და კვების პროდუქტები. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და „ექსპო ჯორჯიას“ ორგანიზებით, გასული წლების მსგავსად, გამოფენას ესწრებოდნენ მცირე ფერმერები საქართველოს ყველა რეგიონიდან და, მათ შორის, ბალდათის მუნიციპალიტეტიდან.

ბალდათის სპორტსკოლამ (დირექტორი ავთო გურგენიძე) გურამ გობეჯიშვილისა და გიორგი ბოგდანოვის სახელობის რესპუბლიკურ ტურნირს უმასპინძლა თავისუფალ ჭიდაობაში. მაღალ დონეზე ორგანიზებულ შეჯიბრებაში 15 მუნიციპალიტეტის 220 სპორტსმენმა მიიღო მონაწილეობა და მედლები 16 წონით კატეგორიაში გაათამაშდა.

თავიანთი შესაძლებლობები საუკეთესოდ წარმოაჩინეს ბალდათის საჭიდაო სკოლის აღზრდილებმა - 5 ოქროსთან ერთად თითქმის ყველა წონაში ვერცხლი და ბრინჯაოც მოიპოვეს და გუნდურ ჩათვლაში პირველობა არავის დაუთმეს. მეორე ადგილზე ჩოხატაურის გუნდი გავიდა, მესამე ადგილი გორელებს ხვდათ წილად. კიდევ ერთხელ უნდა აღვნიშნოთ ტურნირის ჩატარების ორგანიზაციული მხარე, რომელიც მხოლოდ ქებას იმსახურებს და ტექნიკური სიახლე - დეპუტატის ბიუროს მიერ ნაჩუქარი უახლესი ტექნიკა: ვიდეომონიტორებზე სამსაჯო კორპუსს და მაყურებელს ცოცხლად და გამეორებითაც შეეძლოთ საჭიდაო ხალიჩაზე მიმდინარე ბრძოლების თვალის დევნება.



საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზი. პროექტის - ინტერნეტი ყველა სოფლის ბიბლიოთეკას - შეჯამება და სამომავლო მიზნების დასახვა. 2014 წლიდან საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია, ეროვნული ბიბლიოთეკა პრეზიდენტის ფონდთან და მოძრაობა Beyond Access-თან ერთად სოფლის ბიბლიოთეკებს კომპიუტერებითა და ინტერნეტით აღჭურვაში ეხმარება. პროექტის მიზანია საჯარო ბიბლიოთეკები გადაიქცეს საინფორმაციო ცენტრებად, სადაც მსურველები შეეძლება ინფორმაციო მიიღოს არამხოლოდ წიგნებით, არამედ, აუდიო-ვიდეო მასალებით, ცენტრი უნდა გახდეს ოფიციალური დოკუმენტების გაცემის ადგილად.

შეხვედრაზე „ბალდათის სიტყვაც“ მოისმინეს და უკვე არსებული (დიმი, ფერსათი) და ექვსი ადგილი სოფლის ბიბლიოთეკები, მომავალი წლიდან, დაპირებისამებრ, ამ პროექტის მონაწილე გახდებიან.

## მწვანე აქტივობები

### დასაწყისი IV გვ.

თუ შეშის მოპოვება ოჯახს გაუჭირდება, შეუძლებელია მისთვის სხვა საწვავის გამოყენება (ბრიკეტს და ქვანახშირს ვერ მოიხმარს სოფელი, რადგან მისი მოპოვება არ ხდება ჩვენთან).

გაზის გამოყენებაც შეუძლებელია, რადგან სრული გაზიფიცირება არ არის სოფელში, დენი კი დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული და თან მის იმედზე ოჯახი ვერ იქნება, სოფელში ხშირია გამორთვები ავარიული დაზიანებების გამო.

ჩვენი სოფლის სიახლოვეს არსებული ტყეები არც ისე კარგ მდგომარეობაშია; ნაწილობრივ გაჩეხილია, ზოგ ადგილებში პირველადი ხნოვანი ტყეები შეცვლილია მეორადი ახალგაზრდა ტყეებით, მაგრამ უმეტეს ადგილებში საჭიროა გამხმარი ხეებისგან გაიწმინდოს ტყე, რათა ახლით გამრავლდეს.

შორს მდებარე ტყეებში ადრე გავრცელებული ცხოველები ახლაც ბინადრობენ (დათვი, მგელი, ტურა, შველი, იშვიათად



ირემი); ახლო მდებარე ტყეებში მგელი ახლახან შემოვიდა და დიდ პრობლემებს უქმნის მოსახლეობას. ასევე დაზიანებულია სატყეო გზები, დაიხრამა და მიუვალი გახდა. სადაც ტყე გაჩეხილია, ხშირია დამენყვრა, გაზრდილია წყალმოვარდნებისა და ღვარცოფების რისკი, რის შედეგადაც სოფელს სასმელი წყლის პრობლემები შეექმნა.

ერთი სიტყვით, ჩვენს გუნდს ძალიან უნდა ხალხის ტკივილი სოფლის გარეთ გაიტანოს და

ვთხოვთ მათ, ვისაც სამსახურეობრივად ევალებათ, დროულად მოუგვარონ უსახსრო ოჯახებს უშეშობის პრობლემა ისე, რომ ჩვენი საარსებო ბუნება არ გაჩანავდეს და გავერანდეს.

სუფთა და ჯანსაღი გარემო ადამიანის მაცოცხლებელია. დავიცვათ და გაავუფრხილდეთ ჩვენს სიცოცხლეს!

გამოაიძიება  
... ოჯახში გასათობად აქამდე შემას ვიყენებდით, ახლა კი

ბუნებრივ აირზე გადავედით. ყოველწლიურად ვყიდულობდით შემას, რომლის ღირებულებაც შეადგენდა 500 ლარს. მისი ტრანსპორტირება ხდებოდა დაახლოებით 30 კმ-ის მანძილიდან. შემად ვიყენებდით რცხილას და ნიფელს, ძირითადად ხმელ შემას, ასევე ტოტებს და ფიჩხს. შემისთვის სვანური ტიპის ლუმელს მოვიხმარდით. სურვილი გვაქვს მომავალში მზის გამათბობელი დავამონტაჟოთ.

ოჯახს რომ ჰქონდეს საშუალო შემოსავალი 1000 ლარის ოდენობით მაინც, მზის გამათბობელს ყველა ოჯახი დაამონტაჟებდა და მოიხმარდა იმიტომ, რომ იგი ყველაზე უსაფრთხო ენერჯის წყაროა, ის ბუნებას არ აბინძურებს (მხოლოდ მისი დანადგარის დადგმა ძალიან ძვირი).

ჩვენთან ახლოს საირმისა და ზეგნის ტყეებია, სადაც, ჩემი აზრით, ხის ქრა არ უნდა ხდებოდეს. ეს გამოიწვევს მრავალ ეკოლოგიურ პრობლემას: ეროზიას, მენყერს, ჟანგბადის უკმა-რისობას, ნიადაგის გამოფიტვას.

ჩვენ გვჭირდება ეკოლოგიურად სუფთა და ჯანსაღი გარემო, რათა ბედნიერად ვიცხოვროთ.

ჩანახატი  
ძალზედ მნიშვნელოვანია ჩვენი სამშობლო თავისი ფლორითა და ფაუნით. გული სიამაყით გევსება, როდესაც ხედავ ცამდე აზიდულ, ამწვანებულ მთებს, სადაც დანავარდობენ ირმები და შველები. ყვავილებით მორთულ მინდვრებში კოტრილოზი ბზუიან და აგროვებენ ყვავილების მტვერს. ბუნებაში სრული ჰარმონიაა, მაგრამ ადამიანები ვერ აფასებენ ამას. უმონყალოდ ანადგურებენ ბუნებას, ჩეხავენ ტყეებს, ხოცავენ ცხოველებსა და ფრინველებს, ვერ აცნობიერებენ, რომ ისინიც სულიერი არსებები არიან. მათაც ისევე ტკივათ და ისევე ცივათ, როგორც ჩვენ. დაიცავით ისინი! გაუღეთ გულის კარი! შეიყვარეთ და მიხვდებით, რომ თქვენს გულში სიმშვიდემ და სიყვარულმა დაისადგურა.

ბალდათის მუნიციპალიტეტის ა. (ა.) ი. პ. ინფორმაციის, ეთნოკულტურისა და ტურიზმის განვითარების ფონდი  
საქართველო, ბალდათი, რუსთაველის ქ. №68  
ტელ: 595 538 536; 595 452 803  
ელ ფოსტა: sainformacioturizmi@gmail.com

რედაქტორი სოსო ჯობორიძე  
„ჩემი გაზეთი“ გენდი:  
ანა ქორიძე, მარიამ ოქროჭელიძე,  
ანა ავალიანი, ანეელინა ჭავჭავანიძე,  
ანა ფხალაძე

გაზეთი დაკავალდონდა  
ი/მ მამუკა ჭოლაძის მიერ  
დაიბეჭდა  
შ.პ.ს. „ქოლორი“